# თავისუფალი საქართველო

№5
20-26 თებერვალი
1996 წ.
ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

## დისიდენტი-პრეზიდენტი-მოწამე




თავისუფალი საქართველო დღევანდელი ნომრიდან იწყებს თავების ბეჭდვას კონსტანტინე გამსახურდიას წიგნიდან "ზვიად გამსახურდია დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე".

რედაქცია მადლობას უხდის ავტორს კეთილგანწყობილი თანხმობისთვის, ქართველი მკითხველი ჩვენი გაზეთის საშუალებით გასცნობოდა შვეიცარიაში გამოცემულ წიგნს საქართველოს პრეზიდენტის შესახებ.

"

*თარგმანი ეკუთვნის თამარ იაშვილს*

### წინასიტყვაობა ქართული თარგმანისთვის

წინამდებარე წიგნის წერა დავიწყე მას შემდეგ რაც საკმაო გამოცდილება შევიძინე დასავლურ პრესასთან, აგრეთვე სამართალდამცავ ორგანიზაციებთან ურთიერთობისა. დიახ, სიმართლის წყურვილი იყო ძირითადი მამოძრავებელი იმპულსი ძალმომრეობით, სიცრუით და თვალთმაქცობით აღსავსე წუთისოფელში, სადაც ორუელის ცნობილი რომანის მსგავსად მონობას, შესაძლოა, თავისუფლებად ასაღებდნენ, ომს მშვიდობად, ხოლო უმეცრებას შემოქმედ ძალად. მას შემდეგ რაც იძულებული გავხდით დაგვეტოვებინა სამშობლო და გადავსახლებულიყავით შვეიცარიაში, არაერთგზის გავმხდარვარ თვითმხილველი იმისა, თუ რაოდენი ზიანის მოტანა შეუძლია შეგნებულად დანერგილ დეზინფორმაციებს. მათი წყარო, რასაკვირველია, გახლდათ მოსკოვი, აგრეთვე თბილისი. გარდა იმისა, რომ ეს დეზინფორმაციები ცნობიერი აგენტურული საქმიანობის შედეგად ვრცელდებოდნენ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის გადაშლილ საინფორმაციო სივრცეში, ამის ხელშემწყობი ფაქტორი იყო ევრო-ამერიკელთა უმრავლესობის მიამიტობა, ახლომხედველობა და საბჭოური პოლიტიკური მეთოდების სრული არცოდნა. ესეც რომ არა, დღეს ცოტა ვინმე თუ ჰბედავს დინების წინააღმდეგ ცურვას.

დაე ეგონოთ მტრებს, რომ ქართლის ცხოვრების ჩარხის უკუღმა დატრიალებით გაგვტეხენ და მიგვაჩუმათებენ. ჩვენ მაინც ჩვენსას ვიტყვით მაშინაც კი, თუ, ლუთერის ნათქვამისა არ იყოს, იმდენი ეშმაკი დაიძვრის ჩვენსკენ, რამდენი კრამიტიცაა ამ ტაძრის თავზე.

წიგნის მიზანია მიმოიხილოს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ცხოვრება და მოღვაწეობა ობიექტურად და მიუკერძოებლად. იგი არ წარმოადგენს გამოწვლილვით დაწერილ ბიოგრაფიას, რასაც, ჩვენი ღრმა რწმენით, მომავალში უთუოდ დაწერენ დოკუმენტებისა და წყაროების მოშველიებით, მეცნიერულ კვლევა - ძიებაზე დაყრდნობით. ეს წიგნი არც მემუარული ჟანრის ნაწარმოები გახლავთ, ვინაიდან ჩვენი აზრით, საამისო ჟამი არ მოწეულა ჯერაც.

ჩემს ამოცანას წარმოადგენდა ისეთი თხზულების დაწერა, რაც მოთავსდებოდა ისტორიული ესსეს ჩარჩოში. 1994 წლის 27 მაისს მომიწია ამ თემაზე ლექციის წაკითხვა ციურიხის უნივერსიტეტში. ექომ, რომელიც ამას მოჰყვა, მიბიძგა არსებითად განმევრცო ლექცია და მიმეცა მისთვის წიგნის სახე. ამავე დროს მინდა საგანგებოდ აღვნიშნო ბატონი ჰაინერ აპენცელერის ღვაწლი, ვინც გახლავთ ამ წიგნის რედაქტორი და გამომცემელი.

*კონსტანტინე გამსახურდია*

ბაზელი, 12 თებერვალი, 1996

გაგრძელება მე-4 გვ.

## პოლიტიკური ფართი-ფურთი "კარგი" და "ცუდი" რუსეთის ძიებაში

**"სადეპუტატო ჯგუფ "ნაროდოვლასტიეს" ლიდერი ნიკოლაი რიჟკოვი ატირდა, როცა გაიგო, როგორ პირობებში ცხოვრობენ ქართველი ლტოლვილები" - განაცხადა ვახტანგ რჩეულიშვილმა პრესკონფერენციაზე, რომელიც მან და პარლამენტარმა ნესტან კირთაძემ თავიანთი რუსული ტურნეს შედეგების საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით გამართეს.**

გაირკვა, რომ რუსეთის დუმის ზოგიერთი დეპუტატი მხარს გვიჭერს, ზოგი, როგორც ითქვა, ქვითინებს კიდეც ლტოლვილთა მძიმე ხვედრის გამო, მაგრამ გადამწყვეტი უმრავლესობა მაინც საქართველოს წინააღმდეგი და აფხაზი სეპარატისტების მხარდამჭერი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ, საქართველოს დელეგაციამ რუსეთის დედაქალაქიდან არცთუ საუკეთესო შთაბეჭდილებები ჩამოიყოლა. ჩვენთვის მეხის გავარდნასავით გაისმა ეს ამბავი: სულ რაღაც სამიოდე კვირის წინ არ იყო, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის "არნახული ძალისხმევისა და პირადი კავშირების" მეოხებით, დსთ-ს ქვეყნებმა სრული ბლოკადა გამოუცხადეს არძინბას რეჟიმს და იგი იზოლირებული ჰყვეს განვითარებული მსოფლიოსგან? რა მოხდა, ნუთუ კვლავ მოტყუვდა შეუმცდარი და, როგორც მასთან დაახლოებული პირები ირწმუნებიან, პოლიტიკურ და-[illegible] ხვედის [illegible] ხელის წინასწარმჭვრეტი პოლიტიკოსი?

"რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებამდე აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის არანაირი პერსპექტივა არ არის"- გვამცნო ექსვიცე-სპიკერმა (ალბათ, არჩევნებში "კარგი " და არარეაქციული რუსეთის გამარჯვების [illegible] ელის). "არც არჩევნების შემდეგ" - ვეტყვით ჩვენ[illegible], რადგან, როგორც ირკვევა, არჩევნებში საბოლოოდ [illegible] ორი ერთნაირი ძალა დაუპირისპირდება ერთმანეთს: ელცინი და ზიუგანოვი. თუ ზიუგანოვისადმი [illegible] ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, ელცინი [illegible] ბოლო დრომდე ცდილობდა დემოკრატად წარმოეჩინა თავი. ჩეჩნეთის ომმა რუსეთის პრეზიდენტს [illegible] ანად შეურყია ეს ნალოლიავები იმიჯი. დღესდღეობით კი, მას აღარაფერი განასხვავებს ჟირინოვსკი-ბაბურინის მსგავსი პოლიტიკოსებისგან. ის კი არა, ნაციონალ - ბოლშევიკური პარტიის ლიდერმა - ედუარდ [illegible] - ნოვმა მხარდაჭერა აღუთქვა საპრეზიდენტო არჩევნებში, ხოლო ვლადიმერ ჟირინოვსკისა და ელცინის მეგობრობა აღარავისთვის გახლავთ დაფარული. არჩევნებამდე ელცინი სულ უფრო გადაიხრება რუსი ნაციონალ-ბოლშევიკებისკენ და ძნელი სათქმელია, - მასა და ზიუგანოვს, - ამ ორ უბედურებას შორის, რომელი იქნება უარესი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს ხელისუფლება მთლიანად რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზეა დამოკიდებული და ჩვენს ქვეყანაში მინისტრის მოადგილესაც კი ვერ ნიშნავენ "უფროს ძმასთან" შეუთანხმებლად, უფრო მკაფიოდ დავინახავთ იმ საშიშროებას, რომელიც ჩრდილოეთიდან გველის. საქართველო ამ გამოუვალ მდგომარეობაში მისმა მოძალადე ხელისუფლებამ ჩააგდო. რუსეთისადმი მონურმა ტრფიალებამ გამოიწვია ის, რომ დღესდღეობით საქართველოს დამოუკიდებლობის მცირე ნიშანიც აღარ გააჩნია. რუსეთიდან კი მგელი და მგლისფერი ძაღლი გვიმზერენ. თავიანთი ქვეყნის მოწყობის გეგმა ელცინს და ზიუგანოვს განსხვავებულიც რომ ჰქონდეთ, საქართველოსთან მიმართებაში, აფხაზეთის საკითხთან მიდგომაში აბსოლუტურად იდენტურნი არიან. რუსეთის ხელმძღვანელობის მცდელობით, შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ ამას იქით, რაც არ უნდა მოლაპარაკებები გაიმართოს არძინბასთან, როგორი სტატუსითაც არ უნდა შემოვიდეს საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთი, ერთი რამ უდავოა: აფხაზებმა გადადგეს პირველი და უმთავრესი ნაბიჯი საქართველოსგან გამოყოფისკენ. უახლოეს ხანებში ამ ნაბიჯს ჩვენი ქვეყნის რღვევისკენ მიმართული [illegible] ქმედებაც მოჰყვება, რომელსაც ქართული მხარე [illegible] ან ნადარეიშვილის "მრისხანე" და გულისმ[illegible]ვლელად სასაცილო განცხადებებს და რამდენიმე [illegible] დარიგებული ლტოლვილის ლოზუნგს შეაგებებს: "[illegible] - ჩეჩნეთი - ყიზლარი", "არძინბა ფაში[illegible]"... გატეხილ ვარცლზე ბრძნულ პოზაში ჩა[illegible]ჯდარი მეთაური კი მჭევრად იმეტყველებს მს[illegible]ოში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებზე, [illegible]ლიონ ახალ სამუშაო ადგილზე, აგრესიული სეპარა[illegible]ზმის საფრთხეზე და ბუშ-გენშერთან "ახლო მე[illegible]გობრობის" ჩვეულებრივ მოკვდავთათვის უცნობ [illegible] მოვნებაზე...

როდემდე ასე?

*ნუგზარ წიკლაური*

## ჩემი სახელია ბაჩუ, გვარი - ქართველი



მელორ აკაკის ძე წურწუმია - დაიბადა 1929 წელს, ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის ვაჟთა 37-ე სკოლა. 1952 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, მეოთხე კურსიდან გადავიდა ლენინგრადის უნივერსიტეტის ამავე ფაკულტეტზე. მუშაობდა ჯერ ლენინგრადის უნივერსიტეტში, შემდეგ სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში მეცნიერ თანამშრომლად. იქვე დაუკავშირდა იატაკქვეშა ანტისაბჭოთა ორგანიზაციას "გოლუბოი ბუტონ". რის გამოც რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. 1972 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში, გამოთვლით ცენტრში, შემდეგ ფილოსოფიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად...

ბაჩუ ჩვენს გულებში გამოღვიძებული ქვეყნის ქუჩებიდან შემოვიდა და ჩვენი ახალგაზრდობის თანამდევ სულად, მფარველ ანგელოზად იქცა: 1988 წლის ნოემბრის შიმშილობიდან - პირველი ტალღის არაფორმალებს რომ უვლიდა მამა-შვილურად; 18 თებერვლის დარბევიდან - პორტფელით ხელში წინ რომ გადაეფარა ბუკიას ბაღში პროტესტის ნიშნად ჩამსხდარ გოგო-ბიჭებს და თავი შეუშვირა ხელკეტიან ქართულ მილიციას და რუსულ "სპეცნაზს": - მე დამარტყით, ბავშვებს ნუ ურტყამთო!

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი ერთობა დაირღვა, ბევრი მის მიერ გადარჩენილი მტრად მოეკიდა და გაიბღინძა, მაგრამ ბაჩუს მაინც უყვარდა ისინი, მაინც ენანებოდა...

ისინიც კი ებრალებოდა, ვინც "დემოკრატიის" ტალღას აყოლილი, გამეტებით სცემდა, ქვაფენილზე თავს არტყმევინებდა. "ჩემი სახელია ბაჩუ, გვარი - ქართველი". - თავი გააცნო მან პოლიციელებს ერთ-ერთი დარბევის შემდეგ.

ჭეშმარიტი სიკეთე, თავდადება და სიყვარული განაიარაღებს ყველას და ყოველთვის დაფასებულია. ბაჩუ ყველამ დაიტირა - იმათაც და ჩვენც. ქართველმა ხალხმა დაიტირა, იმ ერმა, რომლის გადარჩენასაც შესთხოვდა უფალს უკანასკნელ საათებში. საავადმყოფოში მიმავალმა, ახლობლებს სთხოვა, 9 აპრილის მემორიალთან მიეყვანათ მუხლი მოიყარა წმინდა ადგილას, შემდეგ ქაშუეთის ეკლესიაში უფალს შეავედრა თავისი ტანჯული სამშობლო და მისი გზააბნეული შვილები...

მეორე დღეს ბაჩუ გარდაიცვალა. წავიდა ჩვენგან უკეთეს ქვეყანაში და მასთან ერთად ჩვენს ცხოვრებაში რაღაც დამთავრდა - რაღაც მნიშვნელოვანი, დიადი, ნამდვილი...

უფალო, განანათლე სული მონისა შენისა.

გაზეთების "თავისუფალი საქართველო", "კოლხური კოშკი", "აღდგომა" რედაქტორებს: ქ-ნ თამარ ებრალიძეს, ბ-ნ ედიშერ გიორგაძეს, ბ-ნ მურმან ზაქარაიას

# ღია წერილი ქსნის კოლონიიდან

## ჰელსინკის კავშირი მომავლისთვის მესახება ისევ ეროვნული მოძრაობის ავანგარდად

მე, პოლიტპატიმარი თამაზ წიკლაური, გახლავართ საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი, პროფესიით ეკონომისტი. ფაქტობრივი ხელისუფლების მითითებით, უსამართლო პატიმრობაში ვიმყოფები 1992 წლის 5 ოქტომბრიდან. პოლიტიკური ამბიციურობა რომ არ დამწამონ, მინდა ჩემი გულისტკივილი მამულიშვილთა წინაშე გამოვხატო არა როგორც იმ ორგანიზაციის წევრმა, რომლის შესახებაც მიხდება საუბარი, არამედ როგორც ქვეყნის ერთმა რიგითმა უანგარო ჭირისუფალმა. ჩემი სატკივარი გამოწვეულია იმ ვითარებით, რაც დღეს სუფევს ჰელსინკის კავშირში, რომელიც იყო ავანგარდი ეროვნული მოძრაობისა საქართველოში, ხოლო მისი სულისჩამდგმელი კი გახლდათ ეროვნული მოძრაობის პატრიარქი, საქართველოს მარადიული პრეზიდენტი, ეროვნული გმირი ზვიად გამსახურდია.

ქართველი ერის ამ ღირსეული შვილის სახელს ხომ მოფრთხილება სჭირდებოდა და მასთან ერთად, მის მიერ დაარსებული პოლიტიკური ორგანიზაციის ავტორიტეტსაც. ჩემს წარმოდგენაში საქართველოს ჰელსინკის კავშირი მომავლისთვის მესახება ისევ ეროვნული მოძრაობის ავანგარდად, ზვიად გამსახურდიას ნათელი სულის წინამძღოლობით. ის განხეთქილება, რომელიც ბოლო დროს მოხდა ჰელსინკის კავშირში, ყოვლად მიუღებლად მიმაჩნია. როგორ შეიძლებოდა პოლიტიკურ ამბიციებს ავყოლოდით და საქართ ელოს ჰელსინკის კავშირში განხეთქილების შეტანით გაგვეხარებინა ჩვენი მოწინააღმდეგენი, რომელთაც სამშობლოს ღალატი არად მიაჩნიათ. პასუხი ერთია - ამით კვლავ გამოჩნდა ჩვენი დაუფიქრებლობა, პოლიტიკური ამბიციურობა, დაბოლოს სისუსტე; უუნარობა იმ დიდი საქმის უანგაროდ კეთებაში, რასაც ჩვენი ბედკრული სამშობლოს მომავალი, ქართველი ერის კეთილდღეობა ჰქვია.

მინდა გავიხსენო უახლესი ისტორია. 1994 წელს, ჯერ კიდევ თბილისის №1 საგამომძიებლო იზოლატორში ყოფნისას, ჩემამდე მოაღწია ჩემი სულიერი დის ბარათმა(მის სახელსა და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ). მომყავს ციტატა ამ ბარათიდან: "ჩემო თამაზ, გული გეტკინება, რომ ხედავდე რა ხდება გარეთ მოძრაობაში, ველარ გავერკვიე რა ემართებათ, ერთმანეთთან დაპირისპირება, ლანძღვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. არ ვცდები, გეზი იქითკენ აქვთ აღებული, რომ გახლიჩონ ეროვნულ პოზიციაზე მდგომი პარტიები და გახადონ უმოქმედონი. ვერაფერს იტყვი, სუკი კარგად მუშაობს ეროვნულ მოძრაობაში. წარმოიდგინე, თამაზ, ჰელსინკის კავშირშიც კი დაძაბულობაა. ჩემო ძმიკო, დროებით დანარჩენზე გულს ალარ გატკენ." იზოლატორში მიღებული ეს ცნობა, შეძლებისდაგვარად, გავაცანი ჩემს რამდენიმე თანამებრძოლს, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ ეროვნულ მოძრაობაში გარეთ დაწყებულ არასახარბიელო პროცესებს ციხიდან ვერ შევაჩერებდით. ამის შემდგომ გავიდა რამდენიმე თვემ, თუ არ ვცდები, 1995 წლის [illegible] ნომრის "თავისუფალი საქართველოს" წყალობით გახდა ჩემთვის ცნობილი საქართველოს ჰელსინკის კავშირის განცხადება მისი ბოლო კონფერენციის შედეგების ანალიზით. არ მსურს დეტალების გახსენება, ის ყველა გულშემატკივრისთვის ნაცნობია, მაგრამ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ საქართველოს ჰელსინკის კავშირში მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო, ეს პოლიტიკური ორგანიზაცია ორ ბანაკად გაიყო, რაც დიდი ტკივილით აღვიქვი. გაზეთის კითხვისას გამახსენდა ჩემი სულიერი დის მიერ გამოგზავნილი ბარათი, რომელიც სრულ, უტყუარ ანალიზს უკეთებდა იმ დროისთვის გარეთ მიმდინარე პროცესებს ეროვნულ მოძრაობაში.

დავაკვირდეთ განვლილ გზას იმ მომენტიდან, როდესაც პოლიტიკურ გაერთიანებაში "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო", რომელიც იურიდიული მემკვიდრეა საქართველოს კანონიერი ხელისუფლებისა, დაიწყო რღვევის პროცესები, რის შედეგადაც მოხდა "მრგვალი მაგიდიდან" ცალკეული პიროვნებების გაძევება. იგივე ტენდენციას ჰქონდა ადგილი საქართველოს ჰელსინკის კავშირიშიც. ზოგმა საკუთარი ნებით დატოვა ეს პოლიტიკური ორგნიზაციები. ამ ვითარებაში შეირყა ის ერთსულოვნება, რომლის სადარაჯოზეც, განურჩევლად ყველა, უანგაროდ უნდა ვმდგარიყავით, თუ ჭეშმარიტ მემკვიდრეებად ვითვლებით ზვიად გამსახურდიას დანატოვარისა. არავინ გამიგოს ისე, თითქოს მოვითხოვდე, რომ ჩვენს რიგებში ფარისევლები დაგვეტოვებინა. არა, ბატონებო! თუკი რომელიმე ჩვენგანი უღირსად იქცევა, დროა ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ, მაგრამ თუ სხვა მიზეზთა გამო ვერ ვახერხებთ კომპრომისს, ვერ ვაღწევთ ერთსულოვნებას, ჯობს გავეცალოთ ერთმანეთს. მაგრამ არა ისე, როგორც ეს მოხდა საქართველოს ჰელსინკის კავშირში.

ბატონებო! ჩვენი ამგვარი საქციელი არ შეეფერება იმ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელსაც ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას ნათელი სული დასტრიალებს. დავფიქრდეთ, დღევანდელი გადასახედიდან რა მივიღეთ საბოლოო ჯამში - ორი ჰელსინკის კავშირი: 1.საქართველოს ჰელსინკის კავშირი

2.საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება

ორივე დაჯგუფებას გვაქვს პრეტენზია ერთმანეთის მიმართ და ორივე ვამტკიცებთ, რომ არც ერთს არ გვიღალატია დღემდე ზვიად გამსახურდიას იდეებისთვის და ღირსეულად ვდგავართ კანონიერი ხელისუფლების მემკვიდრეობის სადარაჯოზე. აქ, თავისდა უნებურად, მებადება კითხვა - რა გვჭირს, მამულიშვილნო? ამ კითხვაზე თქვენგან ვითხოვთ პასუხს საქართველოს ჰელსინკის კავშირის ორივე დაჯგუფების წარმომადგენლებო. ვგრძნობ, უხეშად ჟღერს, მაგრამ უნდა მომიტევოთ.

მე კი, თამაზ წიკლაური, ჩემს აზრს გეტყვით, ბატონებო! - არავის უნდა ვაძლევდეთ იმის უფლებას, ზვიად გამსახურდიას დანატოვარ პოლიტიკურ ორგანიზაციას შუაზე ხლეჩდეს. საქართველოს ჰელსინკის კავშირი, ეროვნული მოძრაობის ავანგარდი, ერთი იყო და ერთი დარჩება ყველა მის ღირსეულ უანგარო მებრძოლთან ერთად. ჩვენ თუ ვართ ჭეშმარიტი მემკვიდრენი ზვიად გამსახურდიას მიერ დაწყებული დიდი საქმისა, შევავსებთ ერთმანეთს, ჩვენი სულიერი და გონებრივი შესაძლებლობით კომპრომისს მოვნახავთ და ისევ გავერთიანდებით დასახულ ტაძართან მისასვლელ გზაზე, ზვიად გამსახურდიას ნათელი სულის წინამძღოლობით.

თუ არ მოიძებნა კომპრომისი, პასუხი ასეთი იქნება, ბატონებო! - ვატყობთ, ზვიად გამსახურდიას მემკვიდრეობა ველარ გავინაწილეთ. გაორებულ პოლიტიკურ ორგანიზაციაში, ამგვარ არაჯანსაღ საზოგადოებრივ გარემოცვაში მე, პატიმარი, საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი, თამაზ წიკლაური თანამებრძოლად ვერ გამოგადგებით. ნურავინ იფიქრებს, განმკითხავი ალარავინააო ამქვეყნად, გახსოვდეთ, ბატონებო! - განმკითხავი ყოველთვის სიმართლეა, ღვთისა და ერის წინაშე.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის გარშემო შექმნილი არასახარბიელო სიტუაცია მეტყველებს პოლიტიკური გაერთიანება "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" სპიკერატის სისუსტეზე, დროულად რომ არ აღკვეთა ხსენებული გაურკვეველი ვითარება ავანგარდული პოლიტიკური ორგანიზაციის შიგნით.

## ისევ არჩევნებისა და ბოიკოტის შესახებ

ეროვნულ მოძრაობაში გაურკვეველმა ვითარებამ მოიტანა ის გარემოებაც, რომ ეროვნულ პოზიციაზე მდგომი ქართველი ერის ღირსეული მამულიშვილების სახელებით ცდილობენ ქულების დაგროვებას. "კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებამ", "ზვიადის გზა - ხმა ერისამ" ისიც კი შემოჰკადრეს ქართველ ერს, რომ სახელმწიფო დამნაშავეთა მიერ დანიშნულ "შევარდნაძის" არჩევნებში მიეღო მონაწილეობა და ამით ერის ნაწილში შეეტანათ გაურკვევლობა. რა იყო ეს, თუ არა მცდელობა, შევარდნაძის მიერ დანიშნული არჩევნებისთვის მიგვეცა ეროვნული ელფერი და საერთაშორისო პოლიტიკური წრეებისთვის დაგვემტკიცებინა მისი დემოკრატიულობა. ყოველივე ეს ხდებოდა ისეთ ვითარებაში, როდესაც საქართველოს კანონიერი პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელის, მისი ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით, ფაქტობრივმა ხელისუფლებამ ე. შევარდნაძის წინამძღოლობით, რამდენიმე უსამართლოდ დაგეგმილი სასამართლო პროცესი წარმართა იმ პირთა მიმართ, რომელნიც იდგნენ კანონიერი ხელისუფლების, კანონიერი პრეზიდენტის ღირსების სადარაჯოზე და, ვინ იცის, კიდევ რამდენი უსამართლო სასამართლო პროცესის ჩატარებას ფიქრობენ ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რუსი მისიონერის ე. შევარდნაძის წინამძღოლობით. რომ აღარაფერი ვთქვათ ზვიად გამსახურდიას დარბეულ, გაცამტვერებულ კარმიდამოზე, დიდი კონსტანტინეს შერყვნილ საფლავზე; ასევე ზვიად გამსახურდიას დაწიოკებული ოჯახის წევრების დღემდე ემიგრაციაში ყოფნაზე; ქართველ მამულიშვილთა დაღვრილ სისხლზე, დაუძლურებულ, გასხვისებულ და გაჩანაგებულ საქართველოზე, რომელიც გვერგო მოძალადე ე.შევარდნაძისა და მისი ბანდიტური შეიარაღებული დაჯგუფებების წყალობით.

რა დაგვემართა ეროვნულ მოძრაობას?! ქართველი ერის სასიქადულო მამულიშვილთა სახელების მეშვეობით, ასეთი მოძალადეების გვერდით ადგილს რომ ვეძიებდით დღევანდელი ხელისუფლების რიგებში და ამის მისაღწევად, მოვინდომეთ სახელმწიფო დამნაშავეების მიერ დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობა. რა დავარქვათ ამას, შეცდომა თუ დანაშაული? დანაშაულია, ბატონებო! თუკი პოლიტიკურ ორგანიზაციებს ეროვნული ჰქვიათ, მათ მხოლოდ ერთი გზა ჰქონდათ - 5 ნოემბრის ხუნტის ცრუ არჩევნების ბოიკოტირება. ჩვენ კი რა გავაკეთეთ - ე.შევარდნაძის მიერ დაქირავებულმა საერთაშორისო დამკვირვებლებმა დააფიქსირეს, რომ საქართველოში არჩევნები ჩატარდა დემოკრატიულად; არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ კანონიერი ხელისუფლების მომხრე პოლიტიკური ორგანიზაციები და მათ ხმების 5 პროცენტიანი ზღვარიც კი ვერ გადალახეს პარლამენტში მოსახვედრად.

ამ შედეგების მიხედვით, საერთაშორისო პოლიტიკურ წრეებში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველოში კანონიერი ხელისუფლების მომხრე პოლიტიკურ დაჯგუფებებს მომხრეები არ ჰყოლიათ. ხოლო იმათ, ვინც საქართველოს ტყვია ესროლეს, კანონიერი ხელისუფლება იარაღის ძალით დაამხეს, ქართველი ერი სულიერად წაწყმიდეს, გააჩანაგეს, დაამშიეს, გაამათხოვრეს, ქართული მიწები გაასხვისეს და ქართველი ერი ისევ რუსეთის იმპერიის მონობის უღელში შეაბეს, თურმე მათ, ცოდვის შვილებს, რუსი მისიონერის ე.შევარდნაძის მეთაურობით, ჰქონიათ საყრდენი საკუთარი ერის წიაღში. მამულიშვილნო! სასაცილო თუ არა, სატირალი ხომ მართლაც არის ჩვენი მდგომარეობა.

რა დაგვემართა, ქართველებო! კონსტანტინე გამსახურდიას, ზვიად გამსახურდიას სახელები გამოვიყენეთ ხუნტის მიერ დანიშნულ ცრუ არჩვნებში პირადი მიზნების მისაღწევად. შედეგად კი მივიღეთ ზნეობრივი პრინციპების ღალატი, ნაცვლად იმისა, რომ ერთად გვებრძოლა კანონიერი პარლამენტისა და მთავრობის აღსადგენად.

ამ პარტიათა წარმომადგენლებმა არად ჩააგდეთ თქვენს რიგებში მყოფ მამულიშვილთა შორსმჭვრეტელობა - ბატონმა მუხრან მაჭავარიანმა უარი განაცხადა "კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების" თავმჯდომარეობაზე, ბატონმა ჯემალ დავლიანიძემ სწორი და პრინციპული გზა აირჩია. მადლობა თქვენ, ბატონო მუხრან! მადლობა თქვენ, ბატონო ჯემალ! მადლობა ყველას "კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებიდან", ვინც თქვენთან ერთად წმინდა ნაპირზე დარჩა. მადლობა თქვენ, ჩემო ზნეკეთილო ადამიანებო.

ბატონებო, მსურს შევახსენო სრულიად საქართველოს ზნეკეთილ ადამიანებს, პოლიტიკურ ბლოკს "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" და მასში შემავალ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომელნიც მემკვიდრენი არიან საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ზნეობრივი პრინციპულობისა, გახსოვდეთ, მტერი დაუძინებელია, ის ყოველთვის შეეცდება ჭეშმარიტ ეროვნულ ძალებში განხეთქილების შემოტანას და როდესაც თითოეული ჩვენგანი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ვხდებით ამის მონაწილენი, ჩვენივე ხელით ვიშანთავთ ჩვენს ისედაც ნაიარევ სხეულს, რასაც ბოლოს და ბოლოს სრულ უმოქმედობამდე მივყავართ. ამ მწარე პერსპექტივის გათვალისწინებით, ვერ წარმომიდგენია, ჭეშმარიტმა ეროვნულმა ძალებმა ვერ გამონახონ კომპრომისი, ურთიერთგაგება.

გამოსავალი ჩვენს ხელშია, მამულიშვილნო! ესაა თავდადება და უანგარო, უკომპრომისო ბრძოლა დიდი საქმისთვის.

ხშირად დავფიქრებულვარ საქართველოს უახლეს ისტორიაზე და დამრჩენია ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მარტო ზვიად გამსახურდიას სჭირდებოდა დამოუკიდებელი, სამართლებრივი, ქრისტიანული საქართველო.

საქართველოს ეროვნულმა გმირებმა - ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ - თავისი თავდავდებით სრულიად საქართველოს დაანახვეს ერისშვილობა და ვინც უანგაროდ ერთგული რჩება ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის მათი სამართლიანი ბრძოლისა, ამ გმირთა მაგალითით უნდა ვიცხოვროთ.

ვიმედოვნებ, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, რომლის სულისჩამდგმელია ზვიად გამსახურდია, დაადგება შიდაპოლიტიკურ შემრიგებლურ პოზიციას და ისევ ჩადგება ეროვნული მოძრაობის ავანგარდში. მეგობრებო! უნდა შეგვეძლოს შეცდომების, ასევე დანაშაულის აღიარება და მხოლოდ ამის შემდეგ, ქრისტიანული მიტევება. ეს იქნება გზა კომპრომისისკენ, რომელიც საწინდარი გახდება ტაძართან მისასვლელი გზისა.

სრულიად საქართველოს ზნეკეთილო ადამიანებო, სიმხნევე და გამძლეობა გვმართებს - არ არსებობს დიადი და ნათელი საქმის ძალით დამხობა, ასევე არ შეიძლება საქართველოსთვის მკვიდრად რგული ჭეშმარიტების გაცამტვერება. ჩემი გულის სიღრმიდან ამ ამოძახილზე, ვგონებ, დაფიქრება და პასუხის გაცემა გვმართებს, მამულიშვილნო!

ღმერთი იყოს შემწე სრულიად საქართველოსი.

*პოლიტპატიმარი*
*თამაზ წიკლაური*

ქსნის კოლონია
3 თებერვალი, 1996 წელი

## ყოფილი სპიკერი მიწის გაყიდვის წინააღმდეგია

პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა, ამჟამად დეპუტატმა ვახტანგ გოგუაძემ, ედუარდ შევარდნაძეს მიმართა ღია წერილით, რომელშიც გამოთქვამს აზრს, რომ საქართველოში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის ფონზე მიწის გაყიდვის უფლების დაკანონება ღალატის ტოლფასია. "დღეს საქართველოში არის მხოლოდ კრიმინოგენული ვითარების დაძლევის სტაბილიზაცია, მარამ ჩვენ ჯერ არა გვაქვს ფინანსური, ეკონომიკური, სოციალური სტაბილიზაცია, რაც მთავარია, არა გვაქვს საგარეო გეოპოლიტიკური სტაბილიზაციის გარანტია " - აღიარებს ყოფილი სპიკერი. მისი აზრით, საქართველოს დამოკიდებულებები რუსეთთან, ქვეყნის გარშემო არსებულ გეოპოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე ურთულესი მოვლენები და სამოქალაქო ომის ჯერ მოუშუშებელი ჭრილობები ასევე არ იძლევა ახლო მომავალში სტაბილიზაციის მყარ გარანტიას.

გოგუაძე აცხადებს, რომ იგი, როგორც ინტერნაციონალისტი, საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად მათი ეროვნებისა, ერთიანი ოჯახის წევრებად მიიჩნევს. ამავე დროს აღნიშნავს, რომ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში საქართველოში დღეს ქართველები არიან. " დედ-მამას შვილი რომ უკვდება, უფულობის გამო ოპერაციას რო ვერ უკეთებს, ის ხომ პირველ შემხვედრ გადამთიელს გროშად მიჰყიდის მამა-პაპათა ფუძეს. " ამასთან, იგი ვერ ხედავს დამცავ მექანიზმს, ვინაიდან " ჩვენში ფულით ნაირ-ნაირ მოწმობასა და დოკუმენტს იყიდიან ".

გოგუაძე ასევე მიუღებლად მიიჩნევს, კრედიტების საფასურად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნების უპირობო შესრულებას და აღიარებს, რომ მისი სპიკერობის დროს ყოფილმა პარლამენტმა ნაჩქარევად მიიღო რამდენიმე არცთუ ხელსაყრელი კანონი. "მეც საკმაოდ მძიმე შრომა გავწიე, საოცრად მოკლე დროში და მძიმე მდგომარეობაში მივიღეთ ეს კანონები, ხალხს რომ არ ეთქვა - პარლამენტმა დაგვაკარგინა 50 მილიონი დოლარის კრედიტიო. (...) თუ სავალუტო ფონდის მოთხოვნა კატეგორიულია და ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს, მაშინ ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო არა ვართ, სხვისი კოლონია ვყოფილვართ. სხვა ქვეყნები ასე უყოყმანოდ არ თანხმდებიან მათ რეკომენდაცია - ულტიმატუმებს".

ამდენად, ერთ დროს შევარდნაძის უახლოეს თანამებრძოლს, რომელიც პოლიტიკურ ძალთა ამჟამინდელ განლაგებაში აშკარად თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მიწის საკითხის სწორი გადაწყვეტა კონსტიტუციაზე მნიშვნელოვან საკითხად მიაჩნია. ძნელი სათქმელია, რითია გაპირობებული მისი ასეთი შეუპოვრობა: მართლაც საქართველოს ინტერესებზე ზრუნვით, თუ კვლავ მმართველ კლანში მოხვედრის სურვილით, ვინაიდან ამ საკმაოდ მწვავე წერილის კრიტიკულ პათოსს მნიშვნელოვნად აკნინებს შევარდნაძის მიმართ გამოთქმული მრავალი დაშაქრული და უგემოვნო ქათინაური.

ამის საპირისპიროდ, იუსტიციის მინისტრმა თედო ნინიძემ მიწის გაყიდვის მოწინააღმდეგეებს სოციალისტური წყობისადმი ნოსტალგია დასწამა და განაცხადა, რომ ეს კანონი არ მიიღება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით.

## უცხოური კრედიტი და პარლამენტის მარიფათი

16 თებერვალს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელმა შადმან ვალავიმ თბილისში გამართა პრესკონფერენცია, რომელზედაც განაცხადა, რომ სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის კრედიტის გამოყოფა დამოკიდებულია პარლამენტის მიერ რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონის მიღებაზე. ფონდი მოითხოვს, რომ, უპირველეს ყოვლისა, მიღებულ იქნეს კანონები მიწის შესახებ, საგადასახადო და საბანკო სისტემების რეფორმის შესახებ, და ეს უნდა მოხდეს 25 თებერვლამდე. თუ ამ ვადამდე არ იქნა მიღებული ეს კანონები, მაშინ სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო აღარ გამოუყოფს საქართველოს 1996 წლისთვის განსაზღვრულ 80 მილიონ დოლარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიტიკური სასამართლო პროცესი გრძელდება

## დაზარალებულები ოფიციოზის მანიპულაციების იარაღად იქცევიან

ლოთი ქობალიას, ჯამბულ ბოკუჩავას, ზვიად ძიძიგურის, სოსო ელენტის, ნუგზარ მოლოდინაშვილის საქმის საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნება კვლავ გაგრძელდა 12 თებერვლის სხდომაზე. დარბაზში პერიოდულად კვლავ იძაბებოდა ვითარება. მსაჯულები გამოკვეთილი მხატვრულობით კითხულობდნენ დასკვნის იმ ადგილებს, სადაც ამა თუ იმ პირის მკვლელობის ეპიზოდები იყო აღწერილი. პასუხად დარბაზიდან გაისმოდა დაზარალებულთა შეკივლება და წყევლა. განსასჯელთა მხარე საკმაოდ დიდხანს უძლებდა ამ მობილიზებულ ფსიქოლოგიურ დაწოლას, მაგრამ საბოლოოდ მათი მოთმინების ფიალა აავსო მოსამართლისა და პოლიციის (და არამც და არამც ბადრაგის!) ტენდენციურობამ: ა.ალადაშვილიც და პოლიციის თანამშრომლებიც მორიდებითა და დაყვავებით მიმართავდნენ წესრიგის დამრღვევ დაზარალებულებს და გაავებით უყვიროდნენ განსასჯელთა ნათესავებს, რომლებიც მხოლოდ ერთს ამბობდნენ - "საქმის საბოლოო გარკვევამდე განსასჯელთა ბრალეულობა დამტკიცებული არ არის და ემოციებისგან თავი შეიკავეთო".

" - ყველაფერი გარკვეული და დამტკიცებულია. ამოწყდეს თქვენი ოჯახი. თქვენ რა იცით შვილის სიმწარე" - მხოლოდ ჟურნალისტ დავით ბოლქვაძის სიკვდილის გარემოებებია და თქვენ, ქალბატონო, - მიმართეს მათ ბოლქვაძის დედას, - ეს არ გეხებათ, ყველა დაყვიროდა ერთ-ერთი დაზარალებული. ამ შეკივლებაზე, სოსო ელენტის მეუღლემ თავი ველარ შეიკავა და წამოიძახა:

" - მე ვიცი რაა შვილის სიმწარე... ჩემი შვილი, ორი წლის ბავშვი, მესამე სართულიდან ფეხებით დამიკიდეს, რვა ტყვია მაქვს მოხვედრილი... იცით, რამდენია ასეთი?! ზოგი აქ დგას, ქვემოთ და არ უშვებენ. მე შემომიშვეს, სოსო ელენტის ცოლი ვარ-თქო, რომ ვუთხარი. ვახტან ნოდიას მეუღლე კი არ შემოუშვეს, რომლის ქმარიც დახვრიტეს, ხელი მოაჭრეს და გული ამოჰგლიჯეს... მთელ დასავლეთ საქართველოს აქ მოვიყვანთ და ვნახავთ, ვინაა დაზარალებული!.."

ნერვებმა უმტყუნა განსასჯელებსაც. სოსო ელენტმა და ჯამბულ ბოკუჩავამ განაცხადეს: "აქ გასარკვევი მართლაც ნარჩენი კი მკვლელი და მძარცველი იყო, ხალხს რომ ხოცავდა და სახლი არ დაუტოვებია გაუძარცვავი სამეგრელოში."

მოსამართლისა და პოლიციის გააქტიურებას დარბაზმა კვლავ შეძახილებით უპასუხა: "ვის ემსახურებოდით, ვინ შეადგინა ეს საქმე - ბალუაშვილმა?! ერთი ქართველი კაცი ვერ მოინახა, რომ მას ჩაეტარებინა ძიება?! პროცესის დახურვა გინდათ და იმიტომ აწყობთ ამ პროვოკაციებს".

საგულისხმოა, რომ საინფორმაციო სააგენტოების კორესპონდენტები სწორედ ამ მომენტისთვის აღმოჩნდნენ დარბაზში და შემგომ კვლავ გაუჩინარდნენ, თითქოს წინდაწინ იცოდნენ, როდის მოხდებოდა ვითარების გამწვავება.

ნათელია, რომ ამგვარ ატმოსფეროში - დაზარალებულთა პერიოდული შემოტევებისა და მათი მხრიდან წესრიგის დარღვევის პირობებში - სასამართლო ვერ იმუშავებს, თუ, ცხადია, ეს ექსცესები შეგნებულად არაა ინსპირირებული განსასჯელებსა და მათ ახლობლებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით. და თუ ეს ასეა (რისი შთაბეჭდილებაც, სამწუხაროდ, იქმნება), დაზარალებულები, ნებსით თუ უნებლიეთ, ოფიციოზის მანიპულაციების იარაღად იქცევიან და არცთუ ისე სახარბიელო როლში აღმოჩნდებიან.

გარდა ამისა, ხელოვნურად შექმნილი ნერვიული განწყობილება აჭიანურებს სამსჯავრო განხილვას, მძიმედ მოქმედებს ყველა მხარეზე, განსაკუთრებით კი დიაბეტით დაავადებულ სოსო ელენტზე, რომელიც იმ დღეს ცუდად გახდა და ამის შემდეგ სხდომა აღარ გაგრძელებულა. განსასჯელის ჯანმრთელობის გაუარესების გამო, პროცესი არ ჩატარებულა არც შემდგომ დღეებში და საბოლოოდ გადაიდო 19 თებერვლამდე.

*მ. ტუსიშვილი*

# ვინ არის საქართველოში "დაზარალებული"

ბოლო დროს ჩვენს მეტყველებაში ჩვენგან გაუცნობიერებლად დამკვიდრდა კლიშედ ქცეული ერთი კანცელარული ტერმინი - "დაზარალებული", რომლითაც ცდილობენ გამოხატონ ხოლმე ის უდიდესი ტრაგედია, ბოლო ოთხი წლის მანძილზე რომ დატრიალდა საქართველოში.

სამწუხაროდ, ეს ტერმინი, თავისი ვერც სემანტიკური და ვერც ეტიმოლოგიური მნიშვნელობით, ვერ გამოხატავს მომხდარი უბედურების მთელ ტრაგიზმს, მით უმეტეს, როდესაც იგი ჭეშმარიტი ადრესატის მისამართით არ ითქმება ხოლმე.

ამ ხნის განმავლობაში მართლაც მრავალმა დანაშაულმა მოიყარა თავი, ასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა არსებული რეჟიმისა და ხელისუფლების დამკვიდრებას - ზოგი უდანაშაულო და ზოგიც დამნაშავე. ფაქტი კი ერთია, რომ დაზარალდა მთელი ერი და მთელი ქვეყანა. თითქმის აღარ დარჩა ოჯახი, ვისაც სულიერად ან ფიზიკურად არ შეხებოდეს არსებული რეჟიმის მთელი სისასტიკე. განსაცდელის წინაშე აღმოჩნდნენ არა ცალკეული პიროვნებები, არამედ საკუთრივ მთელი ერი, ხოლო მისი არსებობის პერსპექტივა ეჭვქვეშ დადგა.

ამ ზოგადად ტრაგიკულ ვითარებაში, როდესაც ყველა მომხდარი უბედურება პასუხს ითხოვს, არსებულმა ხელისუფლებამ, რომელიც იურიდიულად უკანონოა, ხოლო არსით დანაშაულებრივი, ფრიად მარტივი გამოსავალი იპოვა - საკუთარ დანაშაულობებზე მასთან დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს აგებინოს პასუხი, ანუ საკუთრივ მათ, ვის წინაშეც ეს დანაშაული ჩაიდინა. სწორედ ამიტომ, არსებული ხელისუფლების მითითებით, საქართველოს მოსახლეობა ორ ნაწილად გაიყო - "დაზარალებულებად" და "დამზარალებლებად".

პირველ კატეგორიაში აღმოჩნდნენ ის ადამიანები, ვისი მეშვეობითაც არსებული ხელისუფლება მოსვლის დღიდან ახორციელებდა მისთვის სასურველ ყველა ქმედებას. ანუ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც, საკუთარი უგუნურების წყალობით, დამნაშავეთა ხელში ბრმა იარაღად იქცა. ასე შეიქნა დაზარალებულთა ერთი ჯგუფი დარბეული, შეურაცხყოფილი, გაპარტახებული და დახოცილი ქართველი ხალხის ალტერნატივად.

სამაგიეროდ, არსებული ხელისუფლება და მას დაქვემდებარებული ჩინოვნიკური აპარატი დაზარალებულებად არ თვლის მათ, ვისაც დეკემბერ-იანვრის სისხლიან დღეებში ტყვია ესროლა და სახლები გადაუწვა; ვინც მიტინგებზე დახოცა, ძარცვა და ააწიოკა; ვინც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საკუთარი მიწიდან აყარა და ლტოლვილებად აქცია მშობლიურ ქვეყანაში; ვისაც შვილები მოუკლა და ძაძებით შემოსა.

უფრო მეტიც, ეს ადამიანები დამნაშავეებადაც კი შერაცხა და პასუხისმგებლობაც მათ გადააბარა, რათა გამწარებულმა ხალხმა თავის მართლებას მიჰყოს ხელი და, სამართლის ძიებაში, საკუთარი ტრაგედია მიივიწყოს, მით უმეტეს, რომ, მათი წყალობით, "დაზარალებულნი" თურმე სხვები არიან.

საზოგადოების ეს ორი ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთმანეთის ალტერნატივად და ერთმანეთთან დასაპირისპირებლად არსებობს, რასაკვირველია, რეჟიმის სასარგებლოდ. არსებული ხელისუფლება ცდილობს, სამუდამოდ წაჰკიდოს საზოგადოების ეს ორი ნაწილი. ერთის ხელით მოსპოს და გაანადგუროს მეორე. თვითონ კი, ამ იდეის მთავარი ავტორი და განმახორციელებელი, ჩრდილში დადგეს - არ გაისვაროს და არ გაერიოს ამ სიბინძურეში, ხოლო ერთმანეთს დაპირისპირებული ორივე მხარე ერთდროულად მოსპოს - ერთი, როგორც "დაზარალებული", მეორე, როგორც "დამნაშავე".

ბოლო დროს საზოგადოების ამ ორი ნაწილის დაპირისპირების არენად ის სასამართლო პროცესები იქცა, სადაც განიხილება გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმეები. განსასჯელთა სკამზე სხედან ის ადამიანები, რომლებსაც სამშობლო წაართვეს, სახლ-კარი აუწიოკეს, ტყვია ესროლეს, მოყვასი შეუგინეს, ახლა კი კრიმინალებად და ბანდიტებად ნათლავენ, პასუხს სთხოვენ საკუთარი ქვეყნის სიყვარულისთვის, თავგანწირვისთვის, ერთგულებისთვის, ხოლო სასამართლო დარბაზიდან მათ უპირისპირებენ შვილმკვდარ, გაუბედურებულ დედებს, რომლებსაც "დაზარალებულებს" ეძახიან და რომლებსაც შთააგონეს, რომ მათი შვილები კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დახოცეს.

მოდიან უბედური დედები სასამართლო პროცესზე, წყევლა-კრულვას უგზავნიან მსჯავრდებულებს. ტირიან, მოთქვამენ, სამართალს ეძიებენ... ის კი არა აქვთ გაცნობიერებული, რომ არსებული რეჟიმის ყურმოჭრილი მსახური - სასამართლო ნამდვილ დამნაშავეს არ ეძიებს და არც არასოდეს გამოავლენს მას. მათი შვილების მკვლელი კვლავ დაუსჯელი დარჩება, იმ გაბრიყვებული ბიჭებისა, რომლებიც საკუთარი მოძმის ასაწიოკებლად და მოსაკლავად გააგზავნეს და ამით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

სამაგიეროდ, არავინ იძიებს და არავის ანაღვლებს ფოთში მოკლული ცხრა მეომარი, ცხენისწყლის ბრძოლებში დაღუპული ქართველი ბიჭები, სახელმწიფოს მეთაურის თვალწინ დახვრეტილი გვარდიელები, მშობლების თვალწინ დახოცილი უდანაშაულო შვილები, მიტინგებზე დაცხრილული პატრიოტები.

მათი მკვლელობის უმძიმესი დანაშაული სამართალდამცავი ორგანოების ყურადღების მიღმა დარჩა.

ახლა მართლაც ძნელია გაარჩიო ვინ რისთვის იბრძოდა და ვინ რას შეეწირა. ფაქტი კი ერთია, რომ მთელი საქართველო ძაძებით არის შემოსილი, ხოლო ამ უბედურების მიზეზი კვლავ ძალაში რჩება და უფრო მეტიც, ცდილობს ეს გაუბედურებული, დაბეჩავებული ხალხი ერთმანეთს გადაჰკიდოს.

კვლავ შეუფერხებლად მუშაობს იმპერიის მთავარი მამოძრავებელი პრინციპი - გათიშე და იბატონე.

კონსტანტინე გამსახურდიას წინასწარმეტყველურ მოთხრობაში "ტაბუ" სწორედ ეს იმპერიული მეთოდია ახსნილი და მხილებული. ქალაბიჭას ნაშიერი მორიელი წაჰკიდებს მეგრელებსა და აფხაზებს და ერთმანეთს ახოცინებს ერთ დროს კარგ მეზობლებსა და მეგობრებს. ასე გრძელდება მანამ, სანამ მორიელს არ მოკლავენ, ანუ ორივე მხარე არ გააცნობიერებს, რომ ბოროტებისა და უბედურების სათავე წითელი მორიელია.

ასეა ახლაც. არსებული ხელისუფლებისგან დაზარალებული საზოგადოება მართლაც უნდა აცნობიერებდეს ვინ არის მათი უბედურების მთავარი მიზეზი, საიდან მოდის ყველა ტრაგედია და ვინ თესავს სიკვდილს კავკასიაში. და როდესაც ამ მარტივ გამოცანას ჯანსაღი პასუხი გაეცემა, გულწრფელად გვწამს, რომ საზოგადოებაში კვლავ ის ზნეობრივი პრინციპები ამოქმედდება, რომელზეც საუბარია უკვდავი "ვეფხისა და მოყმის" ამბავში.

*ქქ*

# პატიმრებს არა აქვთ უფლება გაავრცელონ ინფორმაცია

## და ამას ადასტურებს მოსამართლე ალადაშვილი

ზვიად ძიძიგურმა 12 თებერვლის სხდომაზე, შესვენების შემდეგ, მოსამართლის წინააღმდეგობის მიუხედავად, განაცხადა, რომ კონსტიტუციით, ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება მიიღოს და გასცეს ინფორმაცია. ამდენად, განსასჯელებსაც უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ ამ უფლებით და დაუბრკოლებლად შეხვდნენ საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებს.

მოსამართლე ა. ალადაშვილმა უპასუხა, რომ ისინი არიან პატიმრები და ამ საკითხს არეგულირებს ბადრაგი, რომელსაც არა აქვს უფლება ჟურნალისტები მიუშვას პატიმრებთან.

როგორც ვხედავთ, საქართველოში ილახება ინფორმაციის გავრცელების უფლება იზოლაციაში მყოფ პირთა მიმართ და ამას ადასტურებს თავად უზენაესი სასამართლოს კოლეგიის წევრი. ეს მით უფრო საოცარია დღევანდელი საქართველოს მძვინვარე, მზარდი დემოკრატიის პირობებში, როცა ზვიად გამსახურდიას "ფაშისტური დიქტატურის" დროს პოლიტიკური ხულიგნები - არამცთუ სასამართლო-სამსჯავრო გამოძიების სტადიაზე, არამედ წინასწარი ძიების ეტაპზეც კი - იზოლატორში პრესკონფერენციებს მართავდნენ ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის.

# ან სამუშაო მოგვცენ ან ვაჭრობის უფლება

## აცხადებენ ადამიანები, რომლებისთვისაც ვაჭრობა ლუკმაპურის მოპოვების ერთადერთი საშუალებაა

თბილისის მერიის განკარგულებით, ქალაქის ქუჩებსა და ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე აიკრძალა ვაჭრობა. ბუნებრივია, რომ საქართველოში, სადაც ვაჭრობა ასეულ ათასობით ადამიანისთვის, მეტწილად კი აფხაზეთიდან ლტოლვილთათვის, ლუკმაპურის მოპოვების ერთადერთი საშუალებაა, ამგვარი აკრძალვა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდებს ისედაც სოციალურად დაუცველ ხალხს. მერიის ზრუნვას დედაქალაქის გარეგნულ იერზე უმალ მოჰყვა რეაქცია.

16 თებერვალს, დილის 11 საათზე, პარლამენტის შენობის წინ თავი მოიყარა ასეულობით აღშფოთებულმა მოქალაქემ, რომლებიც მოითხოვდნენ მერიის გადაწყვეტილების შეცვლას. "ან აფხაზეთში დაგვაბრუნონ, ან მოგვცენ მუშაობის, ლუკმაპურის მოპოვების საშუალება." - აცხადებს მათი დიდი ნაწილი. "ვარ აფხაზეთიდან. მყავს შვილები. ბინას ვქირაობ, რამდენიმე თვის ქირა არ გადამიხდია. ბეტონზე ჯდომის უფლებას ვითხოვ, სხვას არაფერს... თუ ესეც აგვიკრძალეს, რაიმე საცხოვრებელი მაინც მომცენ, ბავშვებს ღამის გასათევი რომ ჰქონდეთ."

აღშფოთებულ ხალხს, ბუნებრივია, "ფორდის" ტიპის ავტომობილებით, უმალ დააწიეს ხელკეტებით შეიარაღებული შსს სპეცდანიშნულების რაზმი მღებრიშვილის მეთაურობით, რომელიც ჯერ თითქოს მოერიდა შეკრებილთა დარბევას, თუმცა თავიდანვე გამოიჩინა ჩვეული უხეშობა და რამდენიმე ქალბატონს წასწვდა.

ვისაც დენი არ ჰქონდა გამორთული, მას უთუოდ დაამახსოვრდებოდა იმავე დღეს, ტელეკომპანია "კავკასიას" მიერ გადაცემულ სიუჟეტში თბილისელი მოქალაქის, რუსუდან კვარაცხელიას აღელვებული სიტყვა:

"შუქი ჩვენ არა გვაქვს და წყალი... გვაქვს მხოლოდ ოთხი კედელი. ან გაუშვან წარმოებები და მოგვცენ მუშაობის საშუალება, ან დაგვრთონ ვაჭრობის უფლება. პურის ფულს ვაკეთებ და არა ისე, ტელევიზიით რომ აცხადებენ - გამდიდრება სურთო, დღეში 60 ლარს აკეთებენო. ჩვენ მართლა ცხვრები კი არა ვართ, ჯოხს და ხელკეტს რომ გვირტყამენ. (...) მე ბაღში დამყავს ბავშვები, სხვებს კი 13-14 წლის შვილები ჰყავთ უპატრონოდ მიგდებული და ფუჭდებიან ქუჩაში, გაჭირვებისგან ქურდობენ. 15 გოგო ვიცი ვაგზლის წინ რომ ქურდობს - აქამდე შიმშილმა და გაჭირვებამ მიიყვანა. ამასაც თუ მოგვიშლით, რითი ვიცხოვროთ. (...) წინააღმდეგ შემთხვევაში, თვეობით რომ მოგვიხდეს პარლამენტის წინ ყოფნა, ვიდგებით. დღეს ასობით მოვედით, ხვალ ათასობით მოვალთ. ცხრა აპრილს რომ მოხდა, შეიძლება უარესი სისხლისღვრა მოხდეს. და თუ შევარდნაძემ ამის შემდეგ იცოცხლა, მერე მართლა გაუმარჯოს, ღმერთო ჩემო! მაგას თუ ხალხის მართლა დახოცვა უნდა, დაგვერიონ და დაგვხოცონ."

სულ მალე "ომონი" მართლაც დაერია შეკრებილთ, მათი უმრავლესობა ავტობუსებში შეყარეს და, საფიქრალია, თბილისის პოლიციის სამმართველოში წაიყვანეს "დასამუშავებლად". დანარჩენებმა მერიის წინ გადაინაცვლეს, სადაც პოლიციის ქალაქის სამმართველოს უფროსმა დემურ მიქაძემ მათ აღმზრდელობითი გაკვეთილი ჩაუტარა. "თქვენი გულისთვის ვიკლავთ თავს - რომ ლტოლვილი იყოს უზრუნველყოფილი და ხელშეუხლებელი. მაგრამ აქ 10 პროცენტი რომ ლტოლვილია, 90 პროცენტი პრავაკატორია... აბა, პრავაკატორი არ არის, ვინც იძახდა, გერმანიის საელჩოში მიდითო? გერმანიის საელჩო მოგაქცევთ თქვენ ყურადღებას?!" (სტილი დაცულია)

როგორც ვხედავთ, დაშალე და იბატონეს პრინციპი კვლავ ზეობს საქართველოში, სადაც ხალხს არც პატრონი ჰყავს და არც იმის უფლება, თვითონ უპატრონოს თავის გაჭირვებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზვიად გამსახურდია დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

თავი პირველი

## კავკასია - ენების მთა

ვინც კავკასიაში არსებული კონფლიქტებით დაინტერესდება, უმალ დარწმუნდება, რომ აშკარა პოლიტიკურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რაც არაფრით არ შეიძლება კავკასიის ხალხების ძველი კულტურული ტრადიციებით იყოს გამოწვეული. მათი ცალკეული კულტურის ფასეულობებზე მსჯელობა, მხოლოდ ამ ხალხების ურთიერთდაპირისპირებისთვის არის გამიზნული.

კავკასიური კულტურული სივრცე მოიცავს სომხეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიას. ეს უკანასკნელი შედგება ადიღეელების, ბალყარების, ჩეჩნების, ინგუშების, ოსების, დაღესტნელების და საქართველოში მცხოვრები აფხაზებისგან. ამ ხალხების ენათა უმრავლესობა, ისევე, როგორც ქართველების, ეკუთვნის იბერო-კავკასიურ ენათა ჯგუფს. ოსური არის ინდო-გერმანული ჯგუფის ენა, ხოლო დაღესტნელების ერთი ტომის ენა ენათესავება თურქულს. სულ კავკასიაში 50-ზე მეტ მკვეთრად განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ. ამიტომაც უწოდა მე-9 საუკუნის არაბმა მოგზაურმა კავკასიას "ენების მთა".

ადრე ეს ხალხები მხოლოდ მთებში ცხოვრობდნენ. სულ რაღაც 200 წლის წინ დაიწყეს მათ ბარში, ასევე რუსეთის მხარეში, ჩამოსახლება. ამ ხალხთა ეთნო-ფსიქოლოგიური ტრადიციები უფრო ქართველებისას ემსგავსება, ვიდრე თათრების, სპარსელების თუ არაბებისას. ეს იმით აიხსნება, რომ ისინი გვიან გამუსლიმანდნენ. ამ ხალხებს აკავშირებს მორალური კოდექსი, რომელსაც ადათი ჰქვია. მასში შედის რაინდობის წესები, რომელთა მიხედვით სტუმარი ხელშეუხებელია. ასევე სხვადასხვა ტომის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის საკმაოდ გავრცელებული ფორმა იყო ძმადნაფიცობა.

მათი ჩაცმულობა ერთგვაროვანი იყო. ქალები ატარებდნენ გრძელ, თავისუფალ შალის ქვედატანს, სწორ, მოხდენილ, გვერდებზე ჩამოშვებულ თავსაბურავს და წყნარი ფერების მორთულ ტანსაცმელს. კაცების სამოსს წარმოადგენდა ტუნიკა, მუშაობისას - ნაცრისფერი, გლოვის და ომის დროს - შავი, ხოლო დღესასწაულებზე - წითელი ან თეთრი. რუსები ამ ტუნიკას "ჩერკესკას" უწოდებენ, ხოლო ქართველები ჩოხას. ის შეკერილი იყო შალის ან ტილოს ნაჭრისგან. ყველაზე თვალშისაცემი მასზე მკერდის ორივე მხარეს მიმაგრებული თოფისწამლით სავსე ლითონის მასრებია. ქამარიც ლითონით არის გაწყობილი. ჩოხასთან ატარებდნენ ფეხზე მჭიდროდ მომდგარ ელასტიურ ჩექმებს და ფაფახს. ეს არის ცხვრის ტყავის ქუდი, რომელიც ხშირად ჩალმასთან არის ხოლმე გაიგივებული. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს მთის მებრძოლი ხალხები ხშირად ატარებდნენ იარაღს, როგორც სასიცოცხლო აუცილებლობას. მათ იარაღს წარმოადგენდა ხმლები, ხანჯლები და პისტოლეტი. ასწლეულების შემდეგ ისინი უკეთესით შეიცვალა, გაჩნდა მდიდრულად მორთული პისტოლეტებიც.

ხევსურეთის მთის ხალხი დღემდე ინახავს მე-12 საუკუნის ძვირფას ხმლებს, რომლებსაც ფრანგულს უწოდებენ. მათ პირზე წარწერაა ამოტვიფრული - "Ave Mater Dei". როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ტამპლიერების იარაღის ხელიდან ხელში გადაცემის ფაქტთან. მხოლოდ წინა ასწლეულში დადასტურდა მათი თვისება - კარაქივით გაეკვეთა მაშინდელი რუსული ფოლადი.

ეს რელიქვიები დღეს მხოლოდ დღესასწაულებზე გამოიყენება. თუმცა, ხშირად იარაღის მუდმივი ტარება ისევ ტრაგიკულ აუცილებლობად რჩება. რა თქმა უნდა, ამჟამად უფრო თანამედროვე იარაღს იყენებენ.

ისლამის მიღების შემდეგ, ამ ხალხთა კულტურულ ენად იქცა არაბული. როგორც თეოლოგიური ნაწარმოებებიდანაც ჩანს, არაბული არ ყოფილა მათ მიერ გათავისებული და ბოლომდე უცხო სხეულად დარჩა. წერილობითი ძეგლები კავკასიელთა მშობლიურ ენაზე არ მოიძებნება. სამაგიეროდ, აქ უძველეს ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს - ლეგენდებსა და თქმულებებს შეხვდებით, მსგავსად ნართების ეპოსისა. ეს არის ერთ დროს ფართოდ გავრცელებული, ხოლო შემდგომ, როგორც სხვაგან, ისე საქართველოში, დავიწყებას მიცემული არქაული მითები.

გვიანდელი მითები კავკასიის ყველა მხარეს მთლიანობაში ასახავს. განსხვავება თავს იჩენს მუსიკაში. მაშინ, როცა საქართველოში პოლიფონიამ უმაღლეს განვითარებას მიაღწია, ჩრდილო კავკასიის ხალხთა სიმღერები ყოველთვის ერთხმიანი იყო. ქართული სიმღერების მეშვეობით შეიგრძნობთ განსაკუთრებულ, სიტყვით აუწერელ სულისკვეთებას და უშუალოდ განიცდით ფშვინვიერი ცხოვრების ბგერათა სამყაროს. ამ მუსიკას მთების ლანდშაფტის ძალა აქვს. მთებისა, თავის მარადი თოვლით, კლდეების ნაშალითა და ნაკადულებით, რაც უსაზღვროდ აღაფრთოვანებს ადამიანს და რის გამოც ის ღრმა მორჩილებითა და პატივისცემით მადლობას უძღვნის შემოქმედს.

საოცარი მსგავსებაა ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს ძველ ცეკვებს შორის, ხოლო სომხური და აზერბაიჯანული მკვეთრად განსხვავდება მათგან, რადგან ამ ერთა ცეკვები აღმოსავლური ნიმუშების გავლენით განვითარდა.

ერთ-ერთი ცნობილი ქართული ცეკვაა ლეკური. ეს სიტყვა წარმოდგება დაღესტნური ტომის სახელწოდებისგან - ლეკები. ცეკვა სრულდებოდა დოლის ან დოლ-გარმონის, უფრო ადრე გუდასტვირის თანხლებით. წყვილები გამოდიოდნენ რიტმულად. თეთრმანდილიანი გოგონები ცეკვავდნენ კდემით, მორცხვად. ამასთან, ერთმანეთს არ ეხებოდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ისინი კი არ მოძრაობდნენ, არამედ ცურავდნენ. ყმაწვილი პარტნიორები ნელი, ამაყი მოძრაობით მიჰყვებოდნენ, რაც მათ შინაგან ცეცხლს ამჟღავნებდა. ისინი ამით ცდილობდნენ გოგონებში აღფრთოვანების გამოწვევას და მათი გულების მონადირებას.

სხვა ხასიათისაა საბრძოლო ცეკვები ხანჯლებითა და ფარებით. გაჩაღებული დოლის რიტმზე მოცეკვავეები ელვის სისწრაფით ურტყამენ ხანჯალს ხანჯალზე ისე, რომ ნაპერწკლები ცვივა. ხოლო შემოტრიალების შემდეგ ხანჯლები ხმაურით ეხეთქება ფარზე. ამ ცეკვის შესრულება მხოლოდ მარჯვე, მოხერხებულ და ხმლის დაუცდენლად დამრტყმელ მამაკაცებს შეუძლიათ, რადგან მათი იარაღი სულაც არ არის ბლაგვი.

როგორც ყველა მთის ხალხის, ჩრდილო კავკასიელების მართვაც შესაძლებელია მხოლოდ მათი საკუთარი თანხმობით. ვისაც შეიყვარებენ, იმისთვის არაფერს დაიშურებენ. მათ ფიქრებში საქართველო ყოველთვის კავკასიის გული იყო. როცა საქართველოს მეფეები - ბაგრატიონები, კავკასიის ერთიანობაზე ლაპარაკობდნენ, ამით მხოლოდ და მხოლოდ იმას გამოხატავდნენ, რაც ყველა ხალხებს შეგნებული ჰქონდათ როგორც აუცილებელი და სასურველი რეალობა. მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში მთის ხალხები არა მარტო მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ საკმაოდ ეფექტურად იცავდნენ მას ჰუნების, მონღოლების და სხვა წვრილმანი აგრესორების თავდასხმებისგან. ამიტომაც უწოდა მათ კონსტანტინე გამსახურდიამ (1891-1975) "კავკასიის ფოლადის ჯაგარი".

# TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

## No4 (in brief)

13 - 19 February, 1996

## Political Trial Continues

### The Victims Became the Weapon of the Manipulations of the Officials

At the Session of February 12 continued reading of Loti Kobalia, Jambul Bokuchava, Soso Zhgenti, Zviad Dzidziguri and Nugzar Molodinashvili's indictment. The situation in the Court Hall periodically became strained. The jurymen were reading the indictment with marked expression especially stressing the places describing the episodes of murdering of these or those persons. The audience answered with the screams and curses of the victims. The defendants' party for a rather long time was patiently enduring the psychological pressure, but eventually their patient was exhausted by the pronounced bias of the judge and police: A. Aladashvili and police very mildly and politely coaxed the victims who were violating the order and furiously shouted at the relatives of the defendants who were claiming only one thing: "Until the hearing is over and the guilt of the defendants is not proved, refrain from expressing emotions".

"Everything is cleared and proved. You do not know what a pain is to lose a son", was screaming one of the victims. On hearing this Soso Zhgenti's wife could not help crying in answer: "I am too well aware of what is the feeling of terror for the life of one's child.... My two years old child was hanged by his feet from the third floor. and I have caught eight bullets in my body... Do you know how many people are like me?! Some of them are standing downstairs and are not allowed to the hall. I was allowed because I am the wife of Soso Zhgenti, while the wife of Vakhtang Nodia was not let in, and her husband was shot down, his hand was cut off and heart dug out of his chest... We shall bring here the whole West Georgia population and then you will see who is a real victim!..."

The defendants also failed to restrain themselves. Soso Zhgenti and Jambul Bokuchava declared: "The only thing to be cleared out here are the circumstances of the death of the journalist David Bolkvadze and this does not concern you, lady,"- appealed he to Bolkvadze's mother- "All others were robbers and murderers who were unmercifully slaughtering people and did not leave a house unrobbed in Samegrelo".

It is evident, that in such an atmosphere, under the regular attacks of and violations of order on the part of the victims, the Court will not be able to work, unless these excesses are specially inspired to exert psychological pressure on the defendants and their relatives. And if so, (which unfortunately leaves exactly such impression), he victims whether willingly or not, are becoming the weapon of the officials thus playing rather unenviable role. At the same time, artificially created nervous atmosphere benefits to the prolongation of the Court Hearing with the hard impact on all parties and especially on Soso Zhgenti who has diabetes mellitus and as a result of stress became very sick at that Session and this latter was not continued for this reason. The Court Hearing was not continued on the successive days due to the aggravation of the health of the defendants and was postponed to February 20.

## The Prisoners Do Not Have the Right to Spread the Information

### And this is confirmed by Judge Aladashvili

At the Court Session of February 12 after the break Mr. Zviad Dzidziguri irrespective of the resistance of the judge, declared, that according to the Constitution any citizen had the right to receive and spread the information. Hence, the defendants should have the possibility to give information to the mass media representatives/ He demanded that journalists could freely meet the defendants.

Judge A. Aladashvili answered that they are prisoners and this problem is regulated by the convoy who are forbidden to allow the journalists to get in contact with the prisoners.

As we can see, the right of free distribution of information in Georgia does not exist for the persons isolated from the society and this fact is confirmed by the member of the Board of the Supreme Court personally. It is quite surprising especially as in the period of Zviad Gamsakhurdia's "fascist dictatorship" the political hooligans were allowed to arrange press-conferences with the local and foreign journalists even at the stage of preliminary investigation not to mention Court hearing.

## Give us the Work or Let us to Trade

### Declare the people for whom trading became the only source to earn their living

Under the order of Tbilisi Mayor's House trading in the streets and vicinities of the market was banned. It is only natural, that in Georgia where trading became the only source to earn the living for hundreds of thousands of citizens and especially for the refugees from Abkhazia, such prohibition will lead to dramatic worsening of life standards of these socially unprotected people. Such care of the mayor's Office for the appearance of the city streets was followed by immediate response.

On February 18, at 11 a.m. hundreds of excited citizens gathered before the building of the Parliament their demand being to change the decision of the Mayor's Office. "Either return us back to Abkhazia or give us the work to earn our living" were declaring most of them. "I am from Abkhazia. I have children. I have to rent my the flat, but it is several months that I have not been able to pay my rent. The only right I am asking for is to sit on the asphalt of the streets... If we will be prohibited to do even this, then may be they give me some place to live so that my children have place to stay at nights".

The exited people were of course habitually surrounded by the "care" of the detachment of special designation armed with truncheons and leaded by Mr. Mgebrishvili who in no time arrived in "fords". Initially they seem to avoid dispersing the people, though did not spare several women.

Those who had power supply that evening would remember the program made by the TV Company "Kavkasioni" where the citizen of Tbilisi Mrs. Rusudan Kvaratskhelia was saying: "Neither electricity nor water... we have only four bare walls. Either put the enterprises into operation and give us the possibility to work or give us the right to trade. What we earn in the streets is sufficient to buy us some bread, not as the TV shows us as if we were making a fortune and earn 60 lari per day. We are not speechless sheep to bear beating with sticks and truncheons. (...) I manage to take my children to the nursery school, while others have the children aged 13-14 and they are left in the streets, are exposed to unfavorable influence of the street and even are committing theft because of extreme need. I know about 15 girls who are stealing in the vicinities of the railway station - to such extent they were driven by hunger and poverty. If you forbid us to trade in the streets what shall we live on? (...). If it takes months we shall stay here before the building of the Parliament. Today there are hundreds of us, tomorrow thousands will come. Bloodshed worse that which occurred on April 9 can happen. And if Shevardnadze remains alive after this then be it so" Oh God, if hr really wants to exterminate people, then let him do it and get over with it".

In no time the detachment of special destination did begin dispersing the people. They force the majority of them into the buses and to all probability took them for "processing" to the Tbilisi Police Department. Those who escaped this fate moved to the Mayor's Office where they received a lesson from the Head of the Municipal Police Department Mr. Demur Mikadze: "I spare no efforts to provide support and safety for refugees. But here only 10% are refugees, the other 90% are provocateurs... Provocateurs were calling you to go to the German Embassy were not they? Do you imagine that German Embassy will pay any attention to you?!" (The style is unchanged). As we see the principle of "Divide and rule" is again in effect in Georgia where the people are left without any care and are deprived of the right to take care of themselves.

Former Speaker of the Parliament is Against Selling the Land

The former speaker of the Parliament, presently a deputy Mr. Vakhtang Goguadze addressed an open letter to Mr. Eduard Shevardnadze, saying that on the background of the extremely poor situation in Georgia legalization of the right to sell the land is equal to treachery. "Today in Georgia we are having the stabilization of the criminal situation only, though we have not achieved yet financial, economic and social stabilization, and which is most important we do to have any guarantee of geopolitical stabilization", admits the ex-speaker. He believes, that the relations between Georgia and Russia, the most complicated events occurring in geopolitical space around the country and unhealed injuries of the civil war still do not provide any firm guarantee for stabilization in the nearest future.

Goguadze states, that being an internationalist he considers all citizens of Georgia irrespective of their nationality as the members of one family. At the same time he stresses that Georgians in Georgia in the worst situation. "When parents loose their child because for the lack of money they cannot afford the surgical medical care for the sick child, they will gladly sell all they have including the land to save the child". At the same time Mr. Goguadze cannot see any mechanisms to avoid such situation since "In our country any who has money can buy himself any certificate and document".

Mr. Goguadze considers it unacceptable to unconditionally fulfill all the demands of the International Currency Fund in exchange of receiving credits and admits that the Parliament which was in effect when he was a speaker hurried to accept some not very favorable laws.

Thus, once the closest supporter of Shevardnadze, who in the present day alignment of political forces found himself out of game, believes that the correct resolution of the land problem is more important then Constitution. It is hard to say what has caused such firm position: genuine concern about the interests of Georgia or the wish to get again in he ruling clan, especially as the dramatic pathos of this letter to a significant extent is diluted with verbose sweetness and prizes addressed to Shevardnadze.

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE
მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia